Varbanov v. Bulgaria

საჩივარი №31365/96

გადაწყვეტილება

05.10.2000

მუხლი 5

მუხლი 5-1-e

ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა და ფსიქიკური დაავადების სამედიცინო მტკიცებულების მოპოვების შეუძლებლობა: დარღვევა

მუხლი 5-4

საქმისწარომება

პროკურორის მიერ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების შესახებ განჩინების, სასამართლოს მიერ, გადახედვის შესაძლებლობის არარსებობა: დარღვევა

ფაქტები: მომჩივნის მუქარის შემცველი ქცევის შესახებ საჩივრების შემდეგ, პროკურორმა პოლიციას გამოძიების დაწყება დაავალა. პოლიციის ცნობით, მომჩივანს როგორც ჩანს, ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა და სავარაუდოდ, მუქარას სისრულეში მოიყვანდა. მომჩივანს არ ჰქონია ფსიქიკური დაავადების ისტორია და მიიღო ცნობა, რომელიც ადასტურებდა, რომ ის ფსიქიკურად ჯანმრთელი იყო. პროკურორმა განაგრძო გამოძიება და, როგორც ჩანს, 1994 წელს მომჩივანი ორჯერ იყო დაბარებული ფსიქიატრიული შემოწმების ჩასატარებლად. 1995 წლის იანვარში პროკურორმა ბრძანა მომჩივნის იძულებით გადაყვანა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში 20-დღიანი შემოწმების ჩასატარებლად. ეს უკანასკნელი, პოლიციამ მომდევნო აგვისტოში განახორციელა. 15 სექტემბერს მომჩივანი პნევმონიით დაავადებული გადაიყვანეს საავადმყოფოში. მას უთხრეს, რომ ოთახი არ დაეტოვებინა და ღამით საწოლზე მიაბეს. ეს 24 სექტემბრამდე გაგრძელდა. 16 ოქტომბერს ის საავადმყოფოდან გაწერეს. ფსიქიატრის თქმით, რომელმაც მომჩივანი გასინჯა, მისი ფსიქიატრიული მკურნალობა საჭირო არ იყო. მომჩივნის საჩივრები თავისი დაკავების შესახებ უარყვეს ქალაქის პროკურატურამ და მთავარმა პროკურატურამ. შემდგომი მოთხოვნა მომჩინვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების ბრძანების შესახებ რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

სამართალი: სტრასბურგის სასამართლო დაეთანხმა კომისიის მიერ დადგენილ ფაქტებს და დაადგინა, რომ მომჩივნის კრიტიკა არ ეხებოდა რაიმე არსებთ საკითხს, რომელიც გაამართლებდა ევროპული სასამართლოს მიერ, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ფაქტების გადამოწმებას. მან ასევე უარყო მთავრობის წინასწარი პრეტენზია, რომ ადგილი ჰქონდა პეტიციის უფლების ბოროტად გამოყენებას: მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში სამართალწარმოებისას შეურაცხმყოფელი ენის გამოყენება უდავოდ შეუფერებელია, საჩივარი (როგორც შეურაცხმყოფელი) არ შეიძლება დაკმაყოფილდეს თუ იგი შეგნებულად ეფუძნება არასწორ ფაქტებს, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. თუმცა, ამ შემთხვევაში მომჩივნის საჩივრები ეფუძნებოდა რეალურ ფაქტებს, რომელთაგან ზოგიერთს მთავრობა უდავოდ მიიჩნევს.

მუხლი 5 § 1 (e) – ფსიქიკური აშლილობის მქონედ მიჩნეული პირის თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება ექცეოდეს ამ დებულების ფარგლებში, თუ მის შესახებ განჩინება მიღებული იქნება სამედიცინო დასკვნის გარეშე. კონკრეტული ფორმა და პროცედურა შეიძლება განსხვავდებოდეს გარემოებების მიხედვით: გადაუდებელ შემთხვევებში, დასკვნა შეიძლება მიღებული იქნას დაკავებისთანავე, მაგრამ ყველა სხვა შემთხვევაში უნდა ჩატარდეს წინასწარი კონსულტაცია. იმ შემთხვევაში, თუ სხვა შესაძლებლობა არ არსებობს, მაგალითად, გამოკვლევის ჩატარებაზე უარის თქმის გამო, საქმის მასალების საფუძველზე უნდა არსებობდეს სულ მცირე სამედიცინო ექსპერტის შეფასება. გარდა ამისა, სამედიცინო შეფასება უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისი პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის ფაქტობრივ მდგომარეობას და არა მხოლოდ წარსულ მოვლენებს. ამ შემთხვევაში, მომჩივანი დაკავებული იქნა სამედიცინო ექსპერტის კონსულტაციის გარეშე და, მიუხედავად იმისა, რომ მიზანი მისი გასინჯვა იყო, ფსიქიატრის მიერ წინასწარი შეფასება, სულ მცირე არსებული დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე, შესაძლებელი და აუცილებელი იყო: მომჩივანს არ ჰქონდა ფსიქიკური დაავადების ისტორია და არ ითვლებოდა, რომ საქმე გადაუდებელ შემთხვევას ეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის ექიმებმა გასინჯეს, არ არსებობს არანაირი მითითება იმისა, რომ მათ მოსთხოვეს მოსაზრება იმის შესახებ, საჭირო იყო თუ არა მისი დაკავება გამოკვლევისთვის, რადგან მისი დაკავების საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო პროკურორის მიერ სამედიცინო ექსპერტის ჩარევის გარეშე. აქედან გამომდინარე, სათანადოდ არ დადასტურებულა მომჩივნის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და შესაბამისად, მისი დაკავება უკანონო იყო. უფრო მეტიც, იმდროინდელი კანონი არ შეიცავდა რაიმე დებულებას, რომელიც პროკურორებს აძლევდა უფლებას ფსიქიატრიული ექსპერტიზის მიზნით პირი იძულებით გადაეყვანათ პატიმრობაში. ჯანდაცვის მინისტრის ინსტრუქცია, რომელიც გულისხმობდა, რომ პროკურორებს ასეთი უფლებამოსილებები ჰქონდათ,

არ ადგენდა რაიმე წესს და შესაბამისად, აკლდა საჭირო სიცხადე. გარდა ამისა, კანონი არ ითვალისწინებდა (და არც ითვალისწინებს) სამედიცინო დასკვნის მიღებას ასეთი დაკავების შესახებ ბრძანების წინაპირობად. აღნიშნული ხარვეზები არ გამოსწორებულა იმით, რომ პროკურორებისთვის განკუთვნილი შიდა ინსტრუქციები შეიცავდა სავალდებულო ფსიქიატრიული შემოწმებების შესახებ დებულებებს, რადგან ინსტრუქციები წარმოადგენდა გამოუქვეყნებელ დოკუმენტს ფორმალური იურიდიული ძალის გარეშე.

დასკვნა: დასკვნა (ერთხმად).

მუხლი 5§4 – შესაბამის დროს ბულგარეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სასამართლოში გასაჩივრებას პროკურორის მიერ გამოძიების ფარგლებში დადგენილ პატიმრობასთან დაკავშირებით ფსიქიატრიული ინტერნირების საქმის აღძვრის მიზნით. მომჩივნის დაკავების შესახებ ბრძანება გასცა პროკურორმა, რომელიც შემდგომში გახდა მის წინააღმდეგ წარმოებულ სამართალწარმოებაში მონაწილე მხარე ხოლო აღნიშნული ბრძანების გასაჩივრება მხოლოდ ზემდგომ პროკურორებთან იყო შესაძლებელი. შესაბამისად, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით მოთხოვნილი საშუალება მომჩივნისთვის ხელმისაწვდომი არ იყო და კანონიერების ზედამხედველობა მომჩივნის დაკავების შესახებ თავდაპირველ გადაწყვეტილებაშიც არ იყო გათვალისწინებული.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად).

მუხლი 41 – სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ დარღვევასა და მატერიალურ ზარალს შორის, რომელსაც მომჩივანი ამტკიცებდა, მიზეზობრივი კავშირი არ არსებობდა. სასამართლომ მომჩივანს არამატერიალური ზიანისთვის 4000 ლევი (BGL) მიაკუთვნა და ასევე სახელმწიფოს დაავალა მის მიერ შესაბამის სამართალწარმოებაში გაწეული ხარჯების ანაზღაურება.